ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ
ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ



ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲢᲘᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘ

ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲘᲐ

თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში (იმპორტში) საქონლის მოსაქცევად, საქონლის გაფორმების სტანდარტული შესაძლებლობის გარდა (რაც გულისხმობს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის შემდეგ მის წარდგენას საბაჟო კონტროლის ზონაში, ასევე შესაბამისი დოკუმენტების გაფორმების ორგანოში (გაფორმების ეკონომიკურ ზონებში ან საქონლის გაფორმების განყოფილებებში) ფიზიკურად წარდგენას, თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ გაფორმების გამარტივებული შესაძლებლობებით, რაც საშუალებას მოგცემთ, მაქსიმალურად დაზოგოთ საქონლის გაფორმებისთვის საჭირო დრო.

წინასწარი დეკლარირება

თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში (იმპორტში) საქონლის დეკლარირება შესაძლებელია წინასწარ საქონლის საბაჟო დეკლარაციით, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანამდე – არაუადრეს 45 კალენდარული დღისა. აღნიშნული საბაჟო დეკლარაციის დასარეგისტრირებლად დოკუმენტების წარდგენა შესაძლებელია განხორციელდეს:

- **ელექტრონულად** - ოფისიდან გაუსვლელად, შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის **www.rs.ge** მეშვეობით, გადამხდელის პორტალიდან დოკუმენტების ატვირთვით. მებაჟე-ოფიცერი შეავსებს და დაარეგისტრირებს საბაჟო დეკლარაციას და მის ელექტრონულ ვერსიას დაგიბრუნებთ ვებგვერდის მეშვეობით.
- **მომსახურების დეპარტამენტის სერვისცენტრებში**
  - თბილისი:
    - ვაკე-საბურთალოს სერვისცენტრი კოსტავას გამზირი №68ა;
    - გლდანი-ნაძალადევის სერვისცენტრი სარაჯიშვილის ქუჩა №1;
  - ზუგდიდის სერვისცენტრი
    - ქ. ზუგდიდი, გამარჯვების ქუჩა №1;
  - ქუთაისის სერვის ცენტრი
    - ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილი ქუჩა №5.

- **გაფორმების ეკონომიკურ ზონაში ან გაფორმების სხვა ადგილას დოკუმენტების წარდგენით.**
- **დეკლარაციის დარეგისტრირება შეუძლია, ასევე „eCustoms"-ში დაშვებულ პირს.**

საქონლის წინასწარი დეკლარირების მიზნით დოკუმენტების ელექტრონულად წარდგენის მომენტიდან, საქონელი ჩაითვლება გაცხადებულ საბაჟო პროცედურაში დეკლარირებულად (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქონლის შემოტანამდე წარდგენილი საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან გასულია 45 კალენდარული დღე).

წინასწარ დეკლარირებული საქონლის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან 45 კალენდარული დღის შემდეგ შემოტანის შემთხვევაში, ხორციელდება საქონლის ხელახალი დეკლარირება.

საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში წინასწარ დეკლარირებული საქონლით დატვირთული სატრანსპორტო საშუალების მიერ საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ, საბაჟო გამშვებ პუნქტშივე ხორციელდება რისკების მართვის სისტემაში რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციისათვის შესაბამისი დერეფნის შერჩევა. **მწვანე** და **ლურჯი** დერეფნების შემთხვევაში, საბაჟო გამშვებ პუნქტში სრულდება საქონლის გაფორმება. **ყვითელი** დერეფნის შერჩევის შემთხვევაში, საქონელი განთავსდება საბაჟო კონტროლის ზონაში ან საბაჟოსთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე. **წითელი** დერეფნის შემთხვევაში, გაფორმების შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით, საქონლის განთავსება ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში.

საქონლის წინასწარი დეკლარირებისას, გადასახადის გადამხდელს საშუალება აქვს შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე **(www.rs.ge)** ელექტრონულად შეამოწმოს საბაჟო დეკლარაციის შეფასების სტატუსი.

დამატებითი უპირატესობა

წინასწარ დეკლარირებული საქონლის გაფორმება ხორციელდება პრიორიტეტული წესით, მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში.

საქონლის ელექტრონულად წინასწარ დეკლარირების შემთხვევაში, არასამუშაო დროს მომსახურების გაწევისას, მომსახურების დადგენილი ტარიფები **არ ორმაგდება;**

დარეგისტრირებულ დეკლარაციაში ცვლილების განხორციელებაზე განაცხადი (საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე) შეგიძლიათ წარადგინოთ **ელექტრონულად.**

ელექტრონული რიგის დაკავება გაფორმების ეკონომიკურ ზონაში „თბილისი"

თუ ვერ ახერხებთ ელექტრონული დეკლარირებით სარგებლობას, გაფორმების ეკონომიკურ ზონაში „თბილისი" რიგში დგომის თავიდან ასაცილებლად, შეგიძლიათ წინასწარ დაჯავშნოთ რიგის ბილეთი შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის www.rs.ge მეშვეობით. რამდენიმე წუთში მიიღებთ ინფორმაციას თქვენი რიგის ბილეთის ნომრისა და მისი გამოძახების სავარაუდო დროის შესახებ. აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელია სამუშაო საათების განმავლობაში.

დეპოზიტზე თანხის განთავსება

თქვენ შეგიძლიათ, დეპოზიტის სახით, წინასწარ განათავსოთ თანხა შემოსავლების სამსახურის ანგარიშზე და გადამხდელის პორტალიდან, ელექტრონულად წარადგინოთ მომსახურებით სარგებლობაზე განაცხადი შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე www.rs.ge.

შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის (საქონლის გაფორმების კუთხით) ჩამოჭრა განხორციელდება ავტომატურად (გარდა წინასწარი დეკლარირებისა).

უპირატესობა!

თქვენ ყოველ ჯერზე აღარ მოგიწევთ მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა.